

გაზეთის ფასი:

გაზეთით თვილში	გაზეთით წელიწადში	გაზეთით წელიწადში
და გარეშე ადგილებში:	7 მან.	6 მან.
ქართის წლისა — 7 მან.	—	—
10-ის თვისა — 6 —	—	5 —
ნახევრის წლისა — 4 —	—	3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ.	—	2 —

საკვებო ერთის ნუმრისა გაუზარებელია — 3 შაური.
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, პარასკევებით.

დროება

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, მალაიანის პროსპექტზე, რეიტერის სახლში, სადაც ბერენშტამის წიგნის მაგაზინი იყო.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის აღიხი: ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზე. უსი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივს ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

საკონსტიტუციო და სალიტერატურო გაზეთი.

რედაქციისგან.
ხელის-მოწერა „დროებაზე“ ყოველთვის მიიღება. ამ გაზეთის დაბრუნება შეიძლება პირაპირად ნუმრისად.
რედაქცია უმორჩილესად სთხოვს „დროების“ ხელის-მოწერლებს, რომელთაც გაზეთის ფული ჯერ არ მოუციათ, შემოიტანონ ეს ფული.
შინა-არსი: ნეკროლოგი. 10 ლინიების თვის. მმართველობის განკარგულება. — ქალაქის ტფილისის საზოგადო გამოცემაზედ. პოლიტიკა: — ანგლია. — აესტრია. — იტალია. — რუსია. — ჩრდილოეთის ამერიკის შტატები. ტელეგრაფები. სალიტერატურო ნაწილი: — ახალ გაზეთებს და ყმაწვილს ქალებს. სერობობითი ცხადებანი. ბიბლიოგრაფიული ცნობა.

ნეკროლოგი.
31 აგვისტოს, სოხუმს გადაიცილა ჩვენი ისტორიკოსი თავადი სულხან ბარათაშვილი. რადგან ამის სახელი არ იყო გავრცელებული ჩვენს ლიტერატურაში და იქნება ბევრს ქართველს აქამდის არც კი გაეგონოს იმისი სახელი, ამიტომაც ვეცდებით შემდეგ „დროების“, №-ში მოკლედ გაეცნოთ მკითხველებს ეს პირი.
10 ლინიების თვის, ტფილისი.
ჩვენ წარსულს „დროების“ № 32 დაუბეჭდეთ უმაღლესი ბრძანება იმაზედ, რომ გამოიქნოს მამულებში ტფილისის გუბერნიის უფროდ უნდა მოხდეს, მეტატონების და გლეხების შორის, განსაზღვრა იმათის მამულებისა. რასაკვირველია, ამისთანა საგანზედ ძალიან საჭირო იყო ამისთანა ბრძანება და თავის

დროსაც მოეწერა, ამისთვისაც გინდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ამ საგანზედ, და ვუჩვენოთ მკითხველებს რა საჭიროება და სარგებლობა აქვს ამისთანა საქმესა.
ჯერ, ვიდრე შეუდგებოდეთ ამის გაჩხრეკას, წარმოვიდგინოთ რა მდგომარეობაშია ჩვენი მამულები.
რასაკვირველია ყველა მამულს აქვს უმეტესი ფასი და ღირსება მაშინ, როდესაც იმას აქვს რიგიანი შემოსავალი. რაც უნდა ძვირფასი და ნაყოფიერი მამული იყოს ბუნებით, თუ რიგიანი მოვლა და პატრონობა არა აქვს, არც შემოსავალი ექნება, მაშასადამე ის მამული დაეღარება დაბალს მამულს, რომელსაც კი უმეტესი და რიგიანი მოვლა და პატრონობა აქვს. ეს არის უპირველესი სოფლის მეურნეობის კანონი და, ვგონებთ, ყველამ შემამულემ იცის ეს კანონი და მხედველობაში აქვს; მაგრამ ის არის, რომ ბევრმა არ იცინა როგორ აასრულონ ეს აზრი და შემატონ თავიანთ მამულებს.
მინც კი დაპყრებოდა ჩვენს სოფლებს, უმეტესათ შარტლის მხარეს, უნახავთ, რომ სახნავი მიწები საშინლათ არის დაყოფილი, ამასთანავე ძალიან დაფანტული, ესე იგი: ერთი დლიური, რომ ერთს ალაგას იყოს, მეორე ერთს, ორს და ხან-და-ხან, თუ დიდი სოფელიც არის, სამს და ოთხს ვერსზედ. ამისთანა უხეირო და უეარგისი დაყოფილება ყველასთვის შესანიშნავია, მაგრამ ჩვენი ძველი ჩვეულება ისე გვაქვს ჯანში გამჯდარი, რომ, თუმცა ვხედავთ ამისთანა უეარგისს და გამოუყენებელს წიხს, მაგრამ არ გვინდა თავი დაეანებოთ და ვეცადოთ მიწა საერთოთ გვექონდეს და, რომ შეგვექლოს, ყველამ დაიყოთ ისე, როგორც გვემარჯვება და შეგვეძლება რიგინათ მოხმარება.

ამას გარდა, ვისაც კი უცხოვრია ჩვენს სოფლებში და დასტკერებია სახნავ-მიწებზედ, უნახავს რა ჩხუბები და ვაი ვაგლახი აქვთ ხანდახან ნახევარ-ნაბიჯს მიწაზედ, იმისთვის ადვილი წარმოადგენია ის აზრი, რომელსაც ქვეით წარმოვთქვამთ. მთქვამთ რომ მე ხუთს ალაგასა მაქვს თითო დლიური მიწა. ეს აშკარაა, რომ ყველა მიწას თავისი საქციელი უნდა. წარმოვიდგინოთ ერთი დლიური მიწა, რომელსაც აქვს 100 საყენი სიგძე, სიგანე 12. რადგანაც ორივე მხრით ამ მიწას უნდა საქციელი, მაშასადამე ამ ერთს დლიურს მიწიდან იკარგება 100 საყენი, იმიტომ რომ ერთი მხრით უნდა საქციელი, ვთქვათ ნახევარი საყენი, ეს გამოვა 50 საყ. და მეორე მხრივაც მაგდენი, — სულ გამოვა 100 საყ. მაშასადამე ხუთს დლიურში, როდესაც ცალ-ცალკეა, იკარგება 500 საყენი. მაგრამ თუ კი ეს ხუთი დლიური ერთათ არის, მაშინ იკარგება მარტო 100 საყენი. 500 საყენი ძალიან დანაკარგია, უმეტესათ იმისთანა ცოტა მამულიანს მხარეს, როგორც შარტლი. რასაკვირველია, ამისთანა დაწერილებით მოანგარიშება თავში არ მოუვა ჩვენს ქართველს კაცს, მაგრამ ჩვენ იმიტომ წარმოვიდგინეთ ეს, რომ ჩვენ თითონ მრავალჯერ ვინახავს რა თავ-პირის მტკრევა ჰქონიათ ერთი ერთმანეთისა ნახევარ ნაბიჯს მიწაზედ; მაგრამ ამისი მოფიქრება კი თავში არ მოხდით, რომ დაფანტულს მამულებში უფრო ძალიან ბევრი მიწები ეკარგებათ.

განცხადება

საკონსტიტუციო და სალიტერატურო

გაზეთის „დროების“ გამოცემაზე
1867 წელს.

გაზეთი „დროება“ 1867 წელს გამოდის 1866 წელს.
თუმცა „დროებაში“ რამდენჯერმე გავლენა უნდა ჰქონდეს ჩვენს ცხოვრებას ესთქვით კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ სახეზედ.
ახლანდელი ყველასთვის, რომ დრო იცელსაჭირო, ახლა იმათის შთამომავლობისთვის ნი ვართ, რომ ზოგიერთი რამ, რაც საჭიროა ჩვენც თავი დაეანებეთ. ეს არის ბუნებრივად ვერ წაუვა ვერც ერთი ხალხი, რომ სცხოვრებს.
ჩვენ უნდა ვეცადოთ დავსტუოთ ყოველთვის, რომ ნამდვილს განათლების გარეშე ჩვენს წინ არის და ვისგანაც აი ჩვენის ფიქრით როგორი აზრი უნდა გვქონდეს ამ დროს თავის შრომით და ჰქონდეს ის მნიშვნელობა, რომ ნაკონიერო სურვილი და საჭიროება. აგრეთვე არ არის საჭირო, ან როგორ და რა რიგით საზოგადოება წავიდეს წინ, და მიიღოს ის ბიით დანიშნული.
გაზეთის პროგრამა დარჩება ისევე ის, რა ჩვენ თვითონვე ვაღიარებთ, რომ იქნება მკითხველებს; მაგრამ იმათი ვიმართლებთ თანავედ მობრუნდნენ, რომელთაც დაგვიშალეს ამასაც კი ვიტყვი, რომ ჩვენ, ჩვენის მხრიდან საზოგადოება წავიდეს წინ, და მიიღოს ის ბიით დანიშნული.
უსი მთელის წლის ნუმრებისა არის: გარეშე ადგილებში 7 მან. გაზეთზედ ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში და კამპ. სტამბაში, იყოფება მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ტფილისის გარეშე მცხოვრებთ ვთხოვთ გამოგზავნონ ხოლმე ამ აღრესით:
ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“, ПРИ ТИПОГРАФІИ МЕЛНИКОВА И К-О.

რეა იმავე მიმართულებით და იმავე რიგით, რომ წარმოვსთქვით ჩვენი აზრი, რა მნიშვნელობა და ზედ გაზეთს და ჟურნალს, მაგრამ ვალათა ვრაცხთ განზედ.
ბევრი რამ, რაც ჩვენის მამა პაპებისთვის იყო გამოხადევი აღარ არის. ჩვენ თვითონ დამსწრეთ მიგვანდა, ის ჩვენ დროს უეარგისათ მიანიათ ითი კანონი კაცობრიობის მოძრაობისა და ამ კვლავდაც კი შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილათ რეველივე უეარგისი ჩვენს ცხოვრებაში, რაც კი უნდა დავადგეთ და დაუხლოვდეთ იმ ხალხს, ვგმართებს მივიღოთ ბევრი სწავლა.
და ჰქონდეს ყოველს გაზეთს და ჟურნალს, რომას. ამის გარდა ახლანდელს გაზეთს და ჟურნალს თელის გარკვევით გადავიღოთ ყველა ნამდვილი თვე იმათ უნდა უჩვენონ საზოგადოებას უნდა თუ პოპოვონ და გამოიყენონ ეს საჭიროება, რომ ა, რაც მნიშვნელობა აქვს საზოგადოებას ბუნებრივად იყო გამოცხადებული წლებულს.
ბა ბევრი რამ არ ავასრულეთ, რაც დავპირდით ავსა, რომ ამ წელიწადს ბევრი იმისთანა ცვლილება ჩვენის პროგრამის სრულათ ასრულდება..... თ, მეცადინეობა არ მოგიკლია; მაგრამ ამისი მი ერთხელ, პარასკევებით, ერთის თაბანიდამ თა-აუგზანელათ ტფილისში 6 მანეთი, გაზეთით.
თისში, „დროების“ რედაქციაში, რომელიც მალაიანის პროსპექტზედ, რეიტერის სახლში, უმორჩილესათ, რომ თავიანთი მოთხოვნით გამოგზავნონ ხოლმე ამ აღრესით:
ВЪ ТИФЛИСЬ. ВЪ КОНТОРУ РЕДАКЦІИ ГРУЗИНСКОЙ ГАЗЕТЫ „ВРЕМЯ“, ПРИ ТИПОГРАФІИ МЕЛНИКОВА И К-О.

წარმოვიდგინოთ, რომ ერთი დლიური მიწა მაქვს სოფელთან; მეორე ორს ვერსზე; მესამე სამს ვერსზე; მეოთხე უფრო შორს და სხვა. მისაც კი ესმის ის აზრი, რომ ადამიანის კეთილ დღეობა, თითქმის, იმაში მდგომარეობს, რომ დრო რიგინათ მოიხმაროს, ის მაშინვე შეიტყობს, რომ სჯობს ერთს ალაგას მქონდესო ჩემი ოთხი დლიური მიწაო, თუნდა არ იყოს ძალიან კარგი თვისებისაო, ვიდრე ოთხი დლიური მქონდესო ძალიან კარგს ალაგებში და დაფანტული. ამის დასამტკიცებლათ ყველა გონიერი მამულის პატრონი იმას წარმოვიდგინოთ, რომ: მინამ სამ ვერსზედ გუთანს წავიდებო, ძალიან ბევრი დროს დაკარგვა მაშინდებო. ამის გარდა: ერთი კაცი ოთხს ალაგას ვერ უყურებს და თვალს ვერ ადევნებს, რომ იმის ჰორანხული ან საქონელმა არ გასძოვოს და ან სხვა რიგით არ გააფუქონ. ძნის მოტანის დროს, რაც უმეტესი მანძილი იქნება, რასაკვირველია, მეტი ხანაც მოუწდება იმის მოტანას — ესეც დანაკარგია. მითი სიტყვით, თუმცა იმითი ატყუებს თავის თავს ამისთანა მამულების პატრონი, რომ კარგი მიწები მაქვსო, მაგრამ კარგათ რომ გამოიანგარიშოს რაც ის შორს წასვლაზედ დროსა ჰკარგავს, ის დრო უფუძლიან სხვანაირათ სასარგებლოთ მოიხმაროს და გამოვა ისევე ისე, რომ სჯობს ერთს ალაგას ჰქონდეს თავისი ოთხი, თუ ხუთი დლიური მიწა, ვიდრე უხეიროთ დაფანტული.

ამისთანა უხეიროთ მიწების დაქუცმაცებას ჰქონდა ძალიან ცუდი გავლენა შერობაშიაც, რის მოშლისთვისაც დიდი ღონისძიება მოიხმარეს. მაღლობა ღმერთს, აქაც ბევრმა გაიგო იმისი უეარგისობა და ყოველ ღონისძიებით ცდილობენ ერთ ალაგას მიიღონ თავიანთი წილი მიწა, რადგანაც შეუძლიანთ რიგინათ მოვლაც, პატრონობაც, უფრო მტკიცე ვეალებით. შექველია ჩვენი ხალხი თანდათან გაიგეს აღრინდელს უეარგისს წესს და დადგება იმ აზრს, რომ ერთი ერთმანეთს გაუცვლონ მამულები დახვედით, დაფანტულ მამულების მაგიერ ეცდებიან ერთ ალაგას იშოვნონ. რასაკვირველია ამისთანა განხრახვაში უმეტესი მოვალეობა აძევს თავად-აზნაურობას, რომელსაც შეუძლიან ეს საქმე გადავიღოს, რითაც ძალიან დიდ შემწეობას მისცემს თავის თავსაც და გლეხებსაც.
ამისთვისაც, როგორც ზევითა ვთქვით, ძალიან თავის დროს გამოვიდა ის უმაღლესი ბრძანება და ძალიან მოსურნე უნდა იყოს ყველა ქართველი, რომ ამ საქმის მნიშვნელობა რიგინათ გაიგონ ყველა მეტატონებმა და მამულის პატრონებმა; და ვეცადონ თან და თან აასრულონ კიდევ, რადგანაც ამისთანა მოქმედებას ექნება ძალიან დიდი მნიშვნელობა ჩვენს მამულებზედ, და უეჭველიც არის იმათ მოკმატებათ შემოსავალიც და ფასიც.
მმართველობის განკარგულება.
ფას-ღება
ქალაქის ტფილისის საზოგადო გამოცემაზედ.
პირველი განყოფილება.
შეგდენილება, საგანნი და სახე ქალაქის საზოგადო კრების მოქმედებისა.
§ 5. ქალაქის საზოგადო კრება შესდგება

ქალაქის თავისგან (გოლოვისგან), რომელიც იქნება თავს-მჯდომარეთ, მეთუფროსებისგან (სტარშინებისგან) და ქალაქის ყველა მცხოვრებლებიდან ამორჩეულთა კაცებისგან, რომელთაც ეწოდებათ რუსულთა გლანის და ჩვენებურად წარმომადგენელი. საზოგადო კრების საქმეების საწარმოებლად, კრებაში უნდა იმყოფებოდეს საქალაქო მდივანი (სეკრეტარი).

§ 6. ქალაქის მცხოვრებნი, რომელთაც ამორჩევის სინართლე ექნებათ, არიან ოთხის რიგისანი: 1) ერთ რიგს შეადგენენ შთამომავლობით აზნაურნი, რომელთაც ქალაქში აქეთ უძრავი ქონება, ან რომელიმე ვაჭრობენ და აქეთ სხვა რაიმე სამოხელონი; 2) მეორე რიგს შეადგენენ პირადი აზნაურები, შთამომავლობითნი და პირადნი საბატო მოქალაქენი, რომელთაც აგრეთვე უნდა ჰქონდეთ ტფილისში ან უძრავი ქონებანი, თუ არა და უნდა ვაჭრობდნენ და მოხელობდნენ; 3) მესამეს—შეადგენენ მოქალაქენი და ახალმოსულნი, რომელთაც მოეძევათ რაიმე საკუთრება ქალაქში, ანუ რომელიმე ვაჭრობენ და მოხელობენ; და 4) მეოთხეს ყველა ტფილისის მოქალაქენი, რომელთაც, თუმცა საკუთრება არა აქეთ, მაგრამ რომელიმე საქალაქო ხარჯს იხდიან. ოთხო ზემოხსენებულის რიგიდან უნდა ამორჩეს ხოლმე ას-ასი კაცი, რომელნიც შეადგენენ კერძობითს შეკრებილებებს; აქედამ უნდა ამორჩიენენ ოც-ოცდა-ხუთნი და ისინი შეიკრებიან წარმომადგენელნი ქალაქის საზოგადო კრებაში. ამას გარდა კერძო კრებებში ამორჩევილნი ამორჩევენ თავიანთ წარმომადგენლების რიცხვის მესამედს, და ისინი შეადგენენ კანდიდატებს, რომ, თუ ვინცობაა დანიშნულს ვადამდის რომელიმე წარმომადგენელი დააკლდნენ, იმათ დაიჭირონ კრებაში არმყოფის წარმომადგენლების ადგილები.

§ 7. ქალაქის საზოგადო კრებაში იმყოფებიან მთელის ქალაქის მცხოვრებლების წარმომადგენლები, რომელნიც განიხილენ მთელის ქალაქის მცხოვრებლების შესახებს საქმეებს და მოქმედებენ ქალაქის სახელით ყოველს იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოხსენებულის საქმეებისამებრ კანონი ითხოვს საზოგადო დადებულების, ანუ რაიმე გადაწყვეტილების ასრულებას იმოყვანას.

§ 8. ქალაქის საზოგადო კრების ყრილობანი ორგვარნი უნდა იყვნენ: 1) ვადა-დანიშნულნი, რომელნიც მოხდებიან თებერვალში და ოქტომბერში, და მიუცილებელნი (превычайный). ვადა-დანიშნულნი კრებანი დაწესდებიან, 1) იმისთვის რომ იმათ განიხილონ ქალაქის ტფილისის შემოსავლის და გასავლის უსტავები (დაეთრები) და განკარგულების მომხდენის მმართველობის ანგარიშები; 2) აგრეთვე ვადა-დანიშნულნი ყრილობებმა უნდა გამოირჩიონ საუკეთესო საშუალებანი საზოგადო ვალის გადასახდელათ, თუ კი რომ ის აძევს საზოგადოებას ანუ ქალაქს; 3) უნდა შეამოწმონ და დაამტკიცონ ქალაქის მცხოვრებლების წიგნი, აგრეთვე იმ პირების სიები, რომელთაც ამორჩევის სინართლე აქეთ, და 4) უნდა განიხილონ საგანნი, რომელნიც შეეხებიან საზოგადო კეთილ-დაწყობილების და ქალაქის მომჭირნობას, თუ რომ კრება ჰპოვეს ამ საგნებს სასარგებლოთ ან თუ მმართველობა ურჩევს კრებას იმათ მიღებას. მიუცილებელნი ყრილობანი მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს ხოლმე, როცა გუბერნიის უფროსი მისცემს ამ ყრილობების ნებას უმთავრესის საზოგადო საქმეების განსახველათ, იმ აზრით, რომ ამ გვარი განსჯა იმ დროს მიუცილებელია და იმის დაგვიანებაც არ არის შესაძლებელი.

§ 9. განკარგულების მომხდენმა ქალაქის მმართველობამ ადრევე უნდა აცნობოს წარმომადგენლებს, თუ როდის მოხდებიან ვადა-დანიშნულნი და მიუცილებელნი ყრილობანი.

თუ რომელიმე წარმომადგენელი დროზედ არ გამოცხადდა კრებაში, მაშინ იმან უნდა ადრევე აცნობოს ეს ამბავი განკარგულების მომხდენს საქალაქო მმართველობას; ვინც ამ წესს არ ასრულებს და ვინც კანონიერს მიზნს არ წარმოადგენს თავის დაუსრულებლობას ყრილობაში, ის პასუხის გებაში მიეცემა იმ კანონის ძალით, რომელიც არის მოხსენებული 1866 წელს გამოცემულის დასასჯელის სჯულის 1436 მუხლში (ст. 1436 улож. о нак. изд. 1866 г.)

§ 10. ქალაქის საზოგადო კრებას მაშინ ექნება ნამდვილი ძალა, როდესაც კრებაში იმყოფება ქალაქის თავი (голова), მეთუფროსენი (სტარშინები) და წარმომადგენლების ერთი მესამედი მინც უსათუოდ.

§ 11. როგორც ვადა-დადებულს, აგრეთვე მიუცილებელს ყრილობაში შეუძლიანთ მიიწვიონ გარეშე პირნიც, რომელთაც აქეთ ამორჩევის სინართლე, თუ რომ დარწმუნდებიან, რომ ზოგიერთის საქმის განსახველად ამ გარეშე პირის რჩევა და აზრი სასარგებლოდ დარჩება.

§ 12. ვადა-დადებულნი ყრილობანი შეიძლება თხუთმეტს დღემდის გაგზავდნენ, თუ რომ გასახილველი საქმეები არიან ვრცელნი და მძიმენი. განსაკუთრებით როცა დაიწყებენ ანგარიშების და ხელ-მოწერილობის შემოწმებას; მიუცილებელს ყრილობებში განიხილენ მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებსაც წარადგენს რომელიმე მხარე. ამ გვარი ყრილობა შეიძის დღის მეტად ვერ გაგრძელდება.

§ 13. თუ საქიროება მოითხოვს ქალაქის საზოგადო კრებას შეუძლიან დანიშნოს თვის შორის მყოფის წევრებისგან ცალკე კამისია, რომ იმან წინათვე დაწერილებით განიხილოს ქალაქის შემოსავლის და გასავლის გაწერვა განკარგულების მომხდენის მმართველობის ანგარიშები, იმ პირების სიები, რომლებსაც ამორჩევის სინართლე აქეთ და საზოგადოთის საქმეები, რომლებიც ბევრს და ვრცელს შრომას ითხოვენ. ზემოხსენებულს კამისიასაც თავის მხრით ნება აქვს მოუწოდოს გარეშე პირებს იმ საქმეების კარგად სახსნელად, რომელნიც მიანდო იმას საზოგადო კრებამ.

§ 14. ქალაქის საზოგადო კრება დაბოლოვებს იმაზედ მიწოდებულს საქმეებს იმ წარმომადგენლების ხმის უმეტესობით, რომელნიც ყრილობაში იმყოფებიან. პირების გადაწყვეტილებანი უნდა დაიბეჭდონ ხოლმე ადგილობრივს რუსულს გაზეთში და უნდა გადმოითარგმნონ მუნებურს გაზეთებში.

§ 15. ქალაქის საზოგადო კრება თავის მხრით ვერა განკარგულებას ვერ მოახდენს. ის მხოლოდ დაწესებს ხოლმე საზოგადოების გადაწყვეტილებას და გადასცემს იმას განკარგულების მომხდენს მმართველობაში, რომელმანაც უნდა მოიყვანოს ასრულებას იმ გადაწყვეტილება და ზოგიერთჯერ მთავრობასაც უნდა წარუდგინოს ხოლმე ის, როცა საქირო იქნება მთავრობის დასტური ამ გადაწყვეტილების ასარულებლად. თუ რაიმე დაბრკოლება გამოჩნდა ასრულებას იმოყვანის დროს, მაშინ განკარგულების მომხდენი მმართველობა შეატყობინებს ამ ამბავს საზოგადო კრებას. თუ ვინცობაა საზოგადო-კრებამ არ შესცვალა თავისი გადაწყვეტილება, მაშინ განკარგულების მომხდენი მმართველობა გადასცემს საქმეს მთავრობას და ითხოვს იმისგან ამ საქმის ახსნას. იმ გადაწყვეტილებას, რომელიც უნდა ახსნას მთავრობისგან, განკარგულების მომხდენი მმართველობა წარადგენს თავისი აზრის დამატებით. თუ საზოგადო კრების გადაწყვეტილება არ დაამტკიცა მთავრობამ, მაშინ ამ გადაწყვეტილებას ძალა აღარ ექნება.

§ 16. ქალაქის საზოგადო კრებას მმართველს, რომ იმან განიხილოს იმ მოსამსახურების მოქმედება, რომელიც ქალაქის საზო-

გადო სამმართველოში მსახურებენ. თუ იმათ საქმე ცუდათ წაიყვანეს და დახლართეს, მაშინ საზოგადო კრება გადასწყვეტს იმათ გამორიცხვას საზოგადო სამსახურიდან და სამართლით მოითხოვს იმ ზარალს, რომელიც მოსამსახურე პირმა შეამთხვია ქალაქის ხაზინას. ამ გვარი გადაწყვეტილება მხოლოდ უმთავრესის ძავეკასიის-აქეთის მთავრობისგან უნდა დაამტკიცდეს იმ წესით, როგორც ამ წეს-დების § 15 მოხსენებულია.

§ 17. თუ ვინცობაა საზოგადო კრებას შემთხვა განხილვა იმისთანა საქმისა, რომელიც შეეხება რომელსამე საზოგადო კრების წარმომადგენელს ან იმის მახლობელს ნათესავს, რომლის მეგვიდრეთაც თვითონ წარმომადგენელია, მაშინ ამისთანა საქმის წარმოებაში ზემოთ დასახელებული წარმომადგენელი ვერ მიიღებს მონაწილეობას. თუ რომ იმ წარმომადგენლებს გარდა, რომელნიც საქმის წარმოებაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ, დანარჩენი წარმომადგენელი ვერ შეადგენენ კანონისაგან დაწესებულს ხმის სიმრავლეს, რომ დაბოლოვდეს ზემოთ-მოხსენებული საქმე, მაშინ ამ საქმის გადაწყვეტას გადადებენ იმდრომდის, მინამ სხვა წარმომადგენლებსაც არ მოუწოდებენ და, თუ იმათ კრებაში მისვლა ვერ შეიძლეს, მაშინ მიუწოდებენ იმათს კანდიდატებს, რომ ჯეროვანი ხმის სიმრავლე შეადგინონ საქმის დასაბოლოებლად.

§ 18. ქალაქის საზოგადო კრება თავის (გოლოვის) თანხმობით, თუ საქირო იქნა, გადასცემს ზოგიერთს ნაწილს საზოგადო სამმართველოს კერძობითს კამისიებს სამართავად: მაგალითად ქუჩების ღამ-ღამ განათლებას, მოკირწყელების (მოკენჭების) ქუჩების გაკეთებას და წმინდათ შენახვას, ერთის ზიტყვით ყველა საშენობო ნაწილსა და სხვ. იმისთან. საზოგადო კრება ამორჩევენ ზემოთ მოხსენებულის კამისიის წევრებათ, ან თვის შორის, ან კანდიდატებში და ან ხმის მექონს ქალაქის მცხოვრებლებში, იმისთანა კაცებს, რომელთაც შეუძლიანთ კარგათ განაგონ იმაზედ მიწოდებელი საზოგადო სამმართველოს ნაწილი. იმავე განზრახვით საზოგადო კრებას თავის (გოლოვის) თანხმობით შეუძლიან დააწესოს რომელიმე გვარი მმართველობის მოხელობა და მიანდოს ეს მოხელობა კერძობითს პირს, მაგრამ იმ პირობით კი, რომ მთავრობამ მისცეს ამაზედ თავისი დასტური.

მეორე განყოფილება

შეადგენილება, საგანნი და განკარგულების მომხდენის საქალაქო მმართველობის სახე. § 19. განკარგულების მომხდენი ტფილისის საქალაქო მმართველობა უნდა შესდგეს ქალაქის თავის (გოლოვის) თავსმჯდომარეობით, რეა წევრისაგან, რომელიც უნდა ამორჩიენ ორ-ორნი თითო ქალაქის მცხოვრებლების რიგიდან, და ერთის წევრისგან, რომელსაც მმართველობა თავის მხრით დანიშნავს. რეა ამორჩეულს წევრში ერთი უექველად განკარგულების მომხდენის მმართველობის ხაზინადარი უნდა იქნეს, დანარჩენი კი უნდა დანიშნონ ხოლმე რეგ-რეგათ საეკონომიკო და საშინაო პოლიციის სამართავად. თავისა აქვს ნება განკარგულების მომხდენის მმართველობის წევრებს დაურიგოს სხვა და სხვა თანამდებობა, რადგანაც ის თავს-მჯდომარეა სამმართველოში შემდგეის სჯულის 90 მუხლის ძალით (ст. 90 общ. губ. учр. св. зак. т. II ч. 1, изд. 1857 г.)

§ 20. განკარგულების მომხდენი ტფილისის საქალაქო მმართველობა განაგებს მხოლოდ იმ საქმეებს, რომელიც არიან ახლანდელს ტფილისის საქალაქო მმართველობის ხელ ქვეით, იმ დაწესებების ძალით, რომელიც ახლა მოქმედებენ, იმ ცვლილებითურთ, რომელიც შეესაბამება ახალს დაწყობილებას, და რომელსაც მთავრობა თავისი თავდარიგისამებრ შესცვლის შემდგეში.

§ 21. განკარგულების მომხდენი მმართველობა პირდაპირ გუბერნატორის წინაშე დევლორების ქვეშ უნდა იყვეს. ქალაქის იმ შინა საქმეების შესახებ და საზოგადო სამმართველოს საქმეების შესახებ, რომელნიც დამყარებულის სჯულ-დებისამებრ უნდა განიხილოს მთავრობამ, თუ ვინცობაა არ დათანხმდა გუბერნატორი განკარგულების მომხდენის მმართველობის დადებულებზედ, მაშინ იმას აქვს ნება ჩაშალოს ეს დადებულება და, თუ ის თავისი უფლებით ვერ შეიძლებს ამას, მაშინ იმან ეს საქმე უნდა წარუდგინოს უმაღლესს მთავრობას თავისი დასაკენით. შოველს შემთხვევაში, როდესაც გუბერნატორი არ დათანხმდება განკარგულების მომხდენის მმართველობის დადებულებზედ და საზოგადო კრების გადაწყვეტილებზედ, ნამესტნიცი გადაწყვეტს ამ საქმეს და იმის გადაწყვეტილება დარჩება შეუცვლელი.

§ 22. თუ ვინცობაა ქალაქის საზოგადო მმართველობამ ფიცხლად არ ასრულა ხოლმე მთავრობისგან მიწოდებელი საქმენი ან აუსრულებელი დასტოვა ისინი, ან თუ ძაბუნათ მოიქცა ხარჯის მოგროვებაში, რომელიც სჯულით ქალაქისაგან მოითხოვება, მაშინ გუბერნიის მთავრობა მოვალეა გაახსენოს ხოლმე ამაზედ ქალაქის მმართველობას; როდესაც ამ გვარის განხსენებთაც არ გაკეთდება საქმე, მაშინ თვითონ გუბერნიის მთავრობა იკისრებს გადახდევინებას და განკარგულების ხარჯი ქალაქის საზოგადოებას დაეწერება; აგრეთვე ის ამ გვარს ამბავს აცნობებს თვით ძავეკასიის ნამესტნიკს.

§ 23. თუ მთავრობის შესახებ საქმეები, რომელიც ქალაქის საზოგადო მმართველობაზედ არის მიწოდებული, ბევრთად არ ასრულდა; მაშინ გუბერნიის მთავრობას ნება აქვს შენიშნა მისცეს იმ მოხელე პირებს, რომლებს ხელშიაც იქნება ზემოხსენებული საქმეები, და თუ ბოროტ-მოქმედებით წარმოართეს ეს საქმეები, მაშინ ამ პირებს მისცემენ სამართალში და, თუ საქირო იქნა, სამსახურსაც ჩამოართმევენ. მაგრამ ამის მოსახდენათ გუბერნიის მთავრობას უნდა ჰქონდეს ნება ძავეკასიის ნამესტნიკისაგან.

§ 24. მახლობელი თვალ-ყურის მგდებელი საქმის წარმოებაში და საზოგადო მმართველობის მართლად მოქმედებაში, უნდა იქნეს მთავრობისაგან დანიშნული წევრი, რომელიც დაესწრება ყოველს განკარგულებაში, რასაც ეს მმართველობა მოქმედებს.

§ 25. თუ მმართველობა მოახდენს იმისთანა განკარგულებას, რომელიც სჯულით აეთანხმება და ან გადაამეტებს თავისი უფლებას, მაშინ მთავრობის წევრი მოვალეა სტყვით განაცხადოს ეს საქმე თვით მმართველობაში, და, თუ იმის აზრი არ მიიღეს, იმაზედ შეუძლიან წერილით წინააღმდეგობა გამოუცხადოს მმართველობას და იმავე ჟამს აცნობოს ეს საქმე გუბერნატორსა.

§ 26. საზოგადო წესნი, რომელიც გუბერნიის და უფლის სასამართლოების ურთიერთობის რიგს განმარტვენ, იგივე წესნი უნდა ექნებენ განკარგულების მომხდენს მმართველობას, თუ რა რიგი ურთიერთობა უნდა ექნეს იმას გუბერნიის და უფლის სასამართლოებთან. (общ. губ. учр. св. зак. т. II ч. 1, изд. 1857 г.). იუსტიციის (სამსჯავროს) სამინისტროს უწყებას ექნება თავისი მხედველობა განკარგულების მომხდენს მმართველობაზედ იმავე გვარათ, როგორც სხვა მთავრობის სასამართლოებზედ აქვს.

§ 27. კერძობითს პირებს შეუძლიან იხილონ გუბერნატორთან განკარგულების მომხდენის მმართველობის დაწესებულებზედ გადაწყვეტილებებზედ, თუ რომ ეს გადაწყვეტილება შეეხება იმისთანა საქმეებს, რომელშიაც თვით მთავრობა გარეული. მუხტონატორს შეუძლიან ახსნას ეს საჩივარი, თუ უფლებისამებრ, რომელიც არის გამოცხად-

ბული ამ წეს-დების ოცდა მეერთე პარაგრაფში.

§ 28. მანკარგულების მომხდენს მმართველობასთან მდგომარეობენ:

- 1) საქალაქო ობოლთ მზრუნველობა (სპროტსკაია ოპეკა);
- 2) საკვარტირო კამმისია;
- 3) საეკონომიკო პოლიცია;
- 4) საზინაო პოლიცია, და
- 5) აუტკიონის კამერა.

ამას გარდა განკარგულების მომხდენის მმართველობის მხედველობის და პირდაპირ დამოკიდებულების ქვეშ იდგამებიან: ნაფიც-ნი კეთილ სინდისიანი მოწმეები, რომელნიც ქსურებიან ქონების აწერაზე და დაფასებაზე და 2) ქალაქის ნაფიცნი დამფასებელნი.

§ 29. საქალაქო ობოლთ-მზრუნველობა, ქალაქის თავის თავს-მჯდომარეობით, უნდა შესდგეს ორის წევრისაგან და მდივნისგან (სეკრეტრისაგან). ქალაქის ობოლთ-მზრუნველობა, რომელიც იქნება ახლანდელის ობოლთ-სასამართლოს (სპროტსკოი სუდი) მაგიერი, იმუქმედებს იმ წეს-დების ძალით, რომელიც ტფილისის ობოლთ-სასამართლოზედ უმაღლესად დამტკიცდა 1855 წელს 24 აპრილს. ობოლთ-მზრუნველობას აგრეთვე ხელ-სამძღვანელად იქნება საზოგადო დაწესებანიც, რომელიც შესდგა ობოლთ-სასამართლოს შესახებ.

§ 30. საქალაქო ობოლთ-მზრუნველობის მხედველობის ქვეშ უნდა იმყოფებოდნენ საზოგადოდ ყველა ქალაქის მცხოვრებლების ობოლნი და ობლები ქონებანი, მხოლოდ იმათ გარდა, რომელნიც შთამომავლობით აზნაურნი არიან; ამისთვის, რომ იმათი საქმეები, საზოგადო დაწესებების ძალით, წარმოებდნენ საკეთილშობილო მზრუნველობაში (აპეკაში).

§ 31. საკვარტირო კამმისია ქალაქის თავის თავს-მჯდომარეობის ქვეშ, უნდა შესდგეს ექვსის დეპუტატისაგან, რომელნიც ქალაქის მცხოვრებლების პირველის სამის რიგდგან უნდა ამოირჩენ, მდივნისაგან და ბუღალტრისაგან. საკვარტირო ფული, რომელიც შეიკრიბება ქალაქის მცხოვრებლებისგან უნდა ებაროს განკარგულების მომხდენის მმართველობას ხაზინადარს. საკვარტირო კამმისია დრომდის ხელ-სამძღვანელად მიიღებს თავის მოქმედებისთვის იმ წესდებებს, რომელნიც ახლა არსებენ. ქალაქის საზოგადო კრებას უნდა ჰქონდეს უფლება, რომ შემდგომ შემოსხენებულის წეს-დების შესაცვლელად წარუდგინოს მთავრობას თავისი აზრი, რომელშიც უნდა იყოს წარმოთქმული თვით მხარის შესაფერნი წესდებანი, აგრეთვე იმ გვარნი დაწესებანი, როგორნიც მაგალითმა უჩვენა საუკეთესოდ.

§ 32. საეკონომიკო პოლიცია ხელ-სამძღვანელად მიიღებს იმ წეს-დებს, რომელიც დამტკიცდა ქვეყნის ნამესტნიკმა 1848 წელს 24 იანვარს. საეკონომიკო და ბაზრის ზედამხედველობა მიენდობა იმ წევრს განკარგულების მომხდენის მმართველობისას, რომელსაც ღირსად დაინახავს ქალაქის თავი.

§ 33. საზინაო პოლიცია უნდა შესდგეს: 1) კამმისარებისგან; 2) ნაფიცის კეთილ-სინდისიანების მოწმეებისგან, რომელნიც დაესწურებიან იმდროს, როცა ქონების საყოველთაოთ-გასყიდვა მოხდება და 3) ქალაქის ნაფიცის დამფასებლებისაგან. ამ პირების ზედამხედველობა მიენდობა იმ წევრს განკარგულების მომხდენის მმართველობისას, რომელსაც ქალაქის თავი ისურვებს. ამ წევრს უნდა მორჩილებდნენ ყველა წევრნი საზინაო პოლიციისა, რომ იმათ აღსრულონ ყოველივე განკარგულებანი და ბძანებანი შემოსხენებულის წევრისა; იმის განკარგულებას მხოლოდ ქალაქის თავი შესცვლის და თვითონვე აგებს პასუხს ამაში.

§ 34. სააუტკიონო კამერა უნდა შესდგეს მმართველის და ნაფიცის მეაუტკიონებისგან. ის მოქმედებს იმ წესდების ძალით, რომელიც მტრებურების საუტკიონო კამერისთვის გამოი-

ცა (პრილ. კ. სტ. 2, 181 სვ. ვაკ. გრად. ტ. X. ч. 2. изд. 1857 г.)

(გაგრძელება იქნება.)

პოლიტიკა.

ანგლია. ბრაიტის სიტყვა მანჩესტერის ბანკეტზედ. სარეფორმო ლიგის წევრებმა მიიწვიეს უ. ბრაიტი, 36 სექტემბერს, სალამოს მანჩესტერის ბანკეტზედ. თავს-მჯდომარედ იყო უ. ბუზენი. ბანკეტზედ იყვნენ მოწვეულნი შემდეგი პირნი: უ. მდომონდი ბილზი, პოდპოლკოვნიკი ლიკონსი, ალდერმენი რომანი, უ. ჯიკი ბრაიტი, უ. მარნესტ ჯონსონი, ალტონის მერი და სხვ.

ბანკეტის პრეზიდენტი ბრაიტის სადღეგრძელო დალია. ამასვე ბრაიტმა წარმოსთქვა სიტყვა:

„ბერნი რეფორმაზედ სხვა და სხვა აზრისანი არიან. მაგრამ ჩვენ ყველანი იმას ვცდილობთ, რომ ხალხს მივანიჭოთ ნამდვილი წარმომადგენლობა და მივანიჭოთ იმას უზენაესი უფლება სახელმწიფოში. (ზიგანეთ! გაიგანეთ!)“

„მიზნები ამ ჩვენის უთანხმოებისა აი რა არის: ზოგიერთი ჩვენგანი ფიქრობს, რომ ლიგა მომეტებულს ითხოვს და შეიძლება უფრო მცირეთი დამკაყოფილება, რომ ეს მცირეც საკმაოა, რომ ქვემო პალატა შეიქნას ხალხის ქვემარტ წარმომადგენლად.“

„საშუალო კლასი, ჩემის აზრით, რაცხს უფრო კეთილ-გონიერად და სასარგებლოდ იმ ბილსს, რომელიც მიიღებს წარმომადგენლობას, დამყარებულს ადგილ-მყოფობაზედ (მისტი-ჯიტელსტო), მინამ საყოველთაო ხმის მოცემას. (ზიგანეთ!)“

„შე იმ აზრისა ვარ, რომ ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ამ დიდ საქმეში. ჩვენის თვალის წინ წარმოებს უდიდესი მოძრაობა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და იქნება უძლიერესი შემდეგისთვის. შოველი კეთილ-გონიერი კაცი მოვალეა, რომ დაეხმაროს ამას და გამოაღებინოს ამ საქმეს შესაძლებელი სარგებლობა, ე. ი. სრული სიკეთე, რომელიც ამ საქმეს შეუძლიან მოგვანიჭოს ჩვენ. (ტაშის-კერა).“

„მუშები თანახმანი არიან, რომ ყველამ იმათთან იმუშავოს, და ჩვენ უნდა დავეხმაროთ იმათ. მაგრაცვლეთ მოძრაობა იმდენათ, რამდენათაც თქვენ გინდათ. მიეციოთ იმას იმოდენი საზღვარი, რამოდენიც თქვენ გინდათ. ღარწმუნებულები იყავით, რომ თორმეტი ან თხუთმეტი კარლევას მრჩეველნი იძულებულ იქნებიან, რომ შეუდგნენ ამ საქმის გადაწყვეტას.“

„მს დიდი მითინგები იმისთვის კი არ იკრიბებიან, რომ განსაჯონ ეს საქმე, არამედ წარმოსთქვან თავისი აზრი, რომელსაც ჩვენ უნდა მივცეთ მომეტებული ძალა. (ტაშის-კერა).“

ამის შემდეგ ბრაიტი ამბობს, რომ იმას არ მოსწონს პოლიტიკურის საქმეების ძალით გადაწყვეტა, მაგრამ თუ ხალხს თავის სამართლიანს მოთხოვნილებაში არ დააკმაყოფილებს მმართველობა, მაშინ ის იძულებულ იქნება ძალა მოიხმაროს.

დასასრულ ბრაიტი ამბობს, რომ როდესაც ბილსი და ამის მგებრები, ლიგის წევრნი, დაბრუნდებიან ლონდონში, ისინი დაუმტკიცებენ ახლანდელს მმართველობას და იმ მმართველობასაც, რომელიც ამ მოკლეს ხანში დაინიშნება, რომ რეფორმის მოთხოვნილებას ხალხში მტკიცე საფუძველი აქვს და ხალხი ხედავს ამ ცვლილებაში მიუცილებელს საჭიროებას. (ამ სიტყვის შემდეგ ასტყდა ხანგრძლივი და ძლიერი ტაშის-კერა).

— ბოძებულად პარიზის მონიტორში სწერენ, 11 (23) აგვისტოს. ლორდის ლუგლასის დროს შედგენილი პლანი რკინის გზების გამართვაზედ ბრიტანიის ინდოეთში ახლა თითქმის სრულებით მოყვანილია აღსრულებაში. ბოძები, მადრასი და ძალკუტტა შერთეს

რკინის გზით. პრთის წლის ანგარიშიდან, რომელიც წარუდგინა მუშაობის-ხედამხედვემა ინდოეთის გუბერნატორს, ჩვენ ესწრებით, თუ როგორ უწარმოებია ამ საქმეს. ბრიტანიის მმართველობიდან დამტკიცებულს პლანში მოხსენებული იყო, რომ რკინის გზით შეერთებულყო უმთავრესი პუნქტები, რომლის სიგრიძესაც შეადგენს რვა ათასი კილომეტრი. მრთი მესამედი იმ გზებისა კიდევ გაკეთდა და ლოკომოტივები მუშაობენ. სულ ამ რკინის გზების გაკეთება დაჯდება 81 მილიონი გირანქა სტერლინგი და პირველს წარსულს მისამდის დაიხარჯა ამ საგანზედ 60 მილ. 645 ათასი გირანქა სტერლინგი.

ასტრია. ბარონის გოლუხომსის მიმამბაზედ ლომპში.

სწერენ მენის გაზეთში Debatte: ლეოვი, 27 სექტემბერს. ბუშინ, როცა დაბინდა, ჩვენის ქალაქის ქუჩები გაიშრა ხალხით, რომელიც მიისწრაფოდა რკინის გზისკენ და გრაფის ბოლუხოვსკის სასახლესთან. რკინის გზის სტანციაში იყვნენ სათემო რჩევის წევრნი, სასოფლო კამიტეტის წევრნი და საქალაქო უფლებანი. 11 საათს სალამოს ბოლუხოვსკი მოვიდა რკინისგზით ძრავიკოდამ. რასწამს ნამესტნიკი გამოვიდა ვაგონიდან, იმას შეჰყვირეს: „ვივით! გაუმარჯოს! ამის შემდეგ მიულოცეს მთავარ-მმართველს ბურგამისტრმა და სასოფლო კამიტეტის პრეზიდენტმა. ბრაფი ბოლუხოვსკი განუცხადებდა იმათ გულითადს მადლობას და როცა შენიშნა, რომ ხალხში სხვათა შორის იმყოფებოდა რუსინის მიტროპოლიტი ლიტვინოვიჩი, ჩამოართვა იმას ხელი და უთხრა: „მთხოვთ მაკურთხოთ. ლმერთმა ინებოს, რომ თქვენმა კურთხევამ კეთილად წარმართოს ჩვენი განზრახული აზრი. მოიმედ ვარ, რომ მიტროპოლიტი მთავარ-მმართველთან ერთად იმოქმედებს ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ და მოუღებს ბოლოს ყოველს წინანდელს უთანხმოებას.“

როცა გრაფმა ეს სიტყვები წარმოსთქვა, ხალხმა შეჰყვირა „ურა“. ბრაფი ბოლუხოვსკი ებისკოპ: ლიტვინოვიჩთან ერთად ჩაჯდა კარეტაში და წავიდა თავის სასახლეში, სადაც შეიყარა 20 ათასი კაცი. ქალაქში გაიარა პროცესიამ ფანრებით, რომელსაც წინ მიუძღოდა ორი მუხიკანტების ხორი. მთავარ-მმართველი გამოვიდა თავისის სტუმრებით ბალკონზედ. მრთი ათასი ფანარი ანათებდა დიდ მოედანს. მუხიკა უკრავდა პოლშურს ნაციონალურს მელოდიას. ნამესტნიკმა ინება მოსმენა რუსინის ნაციონალური მელოდია და იმისი სურვილი დასრულეს. როცა აესტრისის სახალხო გიმნი დაუკრეს, მაშინ ადღეგრძელეს იმპერატორი, სახელმწიფო მინისტრი ბელკრედი და ბოლოს ახალი მთავარ-მმართველი, გრაფა ბოლუხოვსკი. შმრავლესი ხალხი კარგად დიდ ხანს იდგა ბოლუხოვსკის სასახლესთან და გაუწყვეტლად ყვიროდა „ურა“. შუალამის დროს ხალხი დაიშალა. ქველა სიტყვები პოლშურს ენაზედ ითქვა. დღეს გრაფი ბოლუხოვსკი რველით წავიდა თავის მამულში-სკალაში.

ბარბალდიზედ შლორენციად იწერებიან, 25 სექტემბერს, გაზეთში Le Temps. ბარიბალი იმყოფება ახლა ერთს საზაფხულო სასახლეში, Bellsguarda-ში (შვენიერი სანაპირო). ლამაზს მთიანს ლაგუნედ, რომლის სიმაღლიდამაც სჩანს შლორენციის სამხრეთის ნაწილი. ბარიბალი დარჩება აქ ორი ან სამი დღე. მე ენახე იმისი მოსკლა გუშინ დილით. მკიპაყებმა ჩემის ფანჯრის წინ გაიარეს, იმასთან იყვნენ იმისი ქალი, სიძე, ერთი შვილი, უ. ქიპი და ლოფი, მებულკე, რომელსაც ყველანი იცნობენ შლორენციაში.

მე ძალიან ცხადათ ვხედავდი ბარიბალის სახეს. იმას აქვს შეწუხებული სახის გამოხატულება. მაგრამ ღენერალი მე არ მეჩვენას ისე გამხდარი და დაქლარებული, როგორც იმასვედ ლაპარაკობენ. იმას უწინდებულად აქვს თეთრ-წითელი სახე. იმისი სამგზავრო

ტანსაცმელი ძალიან შნოიანი იყო; იმას ეცვა პლედი, რომელიც წითელს პერანგზედ იქნებოდა. დგან ეცვა, რომელიც ოქროს ბუნებურით იყო მორთული. ბუშინ ბარიბალის ესურა ბერძნული ქული, რომელსაც თავისებური ფორმა ჰქონდა.

ოსმალ. „მონიტორში“, 17 (29) სექტემბერს, სწერენ, რომ მთელი მცირე აზიაც მიიღებს მონაწილეობას იმ ბძოლაში, რომელიც აღიძრა საბერძნეთში ოსმალის წინააღმდეგ. მცირე აზიაში ოსმალის წინააღმდეგ ადგნენ ძილიკის სომხები და თურქმანელები და არა ბერძნები. მსენი აუბუნდნენ ფაშებს: მიხევი კი ჯერ არ ვიცით. მრთი ტელეგრამმა აცნობებს—სირიიდან, რომ ჯიურ-შაგაში აღიძრა აღრეულობა. აგრეთვე მოხდა უწყისება ზეთუნში, სამი სომეხი დაიჭირეს და გაგზავნეს ძონსტანტინოპოლში. რომ გავიგოთ ამ მოძრაობის მიზეზი, უნდა განვიხილოთ ამ მხარის უწინდელი მდგომარეობა. მკითხველებმა იციან, რომ 1862 წ. ძილიკის მახრის სომხები, რომელნიც იყვნენ უკმაყოფილონი ოსმალის ფაშების აღმინისტრაციით, ადგნენ და დიდათ დაამარცხეს ოსმალის ჯარები, რომლებიც გაგზავნეს ამ მხრის დასამშვიდებლად. მათრებს უნდოდათ რომ, რითაც იყოს, დაამშვიდონ გამდგარნი და მოიხმარეს ვერაგობა. იმათ მიიწვიეს მარაში ამდგარის სომხების მოთავენი, ვითომც ჰსურდათ იმათთან მოლაპარაკება და მორიგება. ის კი არა თუ ისინი ყველანი დაატუსაღეს. როცა სხვა სახელმწიფოებმა გაიგეს, რომ ოსმალის ესე უკანონოდ და ვერაგულად მოეპყრო ძილიკის სომხებს, დანიშნეს კამმისია სომხების ჩივილის გასარჩევლად. მაგრამ პორტა ძალიან მძიმეთ აწარმოებდა საქმეს, და კამმისიაც გულგრილად იყო და არას დასდევდა სომხების საქმეს. ამის გამო შეტაკება და უთანხმოება თათრებსა და სომხებს შორის დიდხანს არ მოსპობილა და საქმე უწინდებულად რჩებოდა გადაუწყვეტელი. ბოლოს საფრანგეთმა მიიღო გულ-მხურვალე მონაწილეობა სომხების მდგომარეობაში. იმან განაწესა საელჩო მარაში სომხების ინტერესების დასაცვლად. ამით ისევ დამყარდა მშვიდობიანობა მოხსენებულს ადგილში. მს მარახის საელჩო დიდ ხანი არ არის, რაც ოსმალს გააუქმა და ამ გაუქმების შემდეგ ხელმეორედ ასტყდა ბძოლა თათრებსა და ძილიკის სომხებს შორის. სხადია, რომ მარახის ფაშები მოუთმენლად ელოდნენ ამ დროს, როცა ისინი თავისუფლად იმოქმედებდნენ, ყოველ გვარად შეაიწროვებდნენ იმათ და ამით გამოითხოვდნენ საბძოლად და საწინააღმდეგოთ.

ბანდგომილების ამბავი ძანდიის კუნძულზედ. აპოკარნის მახრაში, მრისსას ათასს კაცს ბერძნის ჯარს დაეცა მეგობრის ფაშა საშინი ოთხი-ათასის კაციოთა. ბძოლა სამი დღე გაგრძელდა და გათავდა იმითი, რომ ბერძნებმა სრულებით დაამარცხეს ეგვიპტელი ჯარი. ბძოლა 28 აგვისტოს (9 სექტემბერს) დაიწყო. ამ დღეს ბერძნებმა 300 ოსმალეული და ეგვიპტელი მოკლეს და გარდა ამისა ბევრი თოფი იშოვნეს. მეორე დღეს საშინ ფაშამ სთხოვა ბერძნებს ბძოლის შეწყვეტა და დაპირდა კიდევ უკან-დაწევას. მაგრამ თავის პირობის ასრულების მაგიერად იმან ღამე ქეთ-კირის კედლით გაამაგრა თავისი ბანაკი. რაკი ეს ბერძნებმა შეიტყეს და კიდევ მიხედნენ, რომ ახალი ჯარი მიდის საშინ ფაშასთან მოსახმარებლად, ამისთვის ბერძნებმა მესამეს დღე ისევ ბძოლა გამართეს. მთელის რვა საათის განმავლობაში თოფ-ზარბაზნის ცეცხლი არ გაწყვეტილა. საშინ ფაშამ რაკი დაატყო, რომ თავის ადგილზედ ვეღარ გამაგრდება, მისწერა წიგნი ბერძნების თავ-კაცებს და სთხოვა შერიგება იმ პირობით, რომ უკან დაიწევა და დაუთმობს იმათ ყველა სამხედრო იარაღს, რომლის წაღებაც არ შეუძლიან.

